1937

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. მარტის 10. № 3 ტფილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა.

22. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან მსუბუქი, კვების და სატყეო მრეწველობის წამოწყებათა სათანადო საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატების გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

23. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ წამოწყებათა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა შედგენილობის შესახებ.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა.
სოფლის მეურნეობა.

24. სუბტროპიკული კულტურების განვითარების 1937-40 წლების გეგმისა და ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი.

25. 1936 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

---

F-1951

## მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

### 22. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან მსუბუქი, კვების და სატყეო მრეწველობის წამოწყებათა სათანადო საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატების გამგებლობაში გადაცემის შესახებ.**

საქართველოს სსრ მსუბუქი, კვებისა და სატყეო მრეწველობის საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატების მოწყობასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემიდან გადაიცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში შემდეგი წამოწყებები, ახალმშენებლები, დაწესებულებები და სასწავლებლები:

## I. აბრეშუმის მრეწველობა.

1) ტფილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა,
2) ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი,
3) აბრეშუმსახვევი ფაბრიკა სამტრედიაში,
4) „ „ მახარაძეში,
5) „ „ თელავში,
6) „ „ წულუკიძეში № 1 და № 2,
7) პენიაჟის ფაბრიკის მშენებლობა სამტრედიაში,
8) აბრეშუმის მრეწველობის მომარაგებისა და გასაღების კონტორა („აბრეშუმმომარაგებაგასაღება“),
9) აბრეშუმის მრეწველობის ტექნიკუმები ტფილისში, ქუთაისში, წულუკიძეში და მახარაძეში,
10) აბრეშუმის მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები ტფილისში და ქუთაისში.

## II. საფეიქრო-სატრიკოტაჟო მრეწველობა.

1) ტფილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო“,
2) ქუთაისის მაუდის ფაბრიკა,
3) ტფილისის ბამბეულსართავი ფაბრიკა,
4) ტფილისის ბამბის ფაბრიკა,
5) „ საქეჩე ფაბრიკა,
6) „ სატრიკოტაჟო ფაბრიკა,
7) საფეიქრო-სატრიკოტაჟო მრეწველობის მომარაგებისა და გასაღების კონტორა („ფეიქრმრეწვმომარაგებაგასაღება“),
8) ტფილისის საფეიქრო-სატრიკოტაჟო მრეწველობის ტექნიკუმი,
9) საფეიქრო სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშათა ფაკულტეტები ტფილისსა და ქუთაისში,
10) ტფილისის საფეიქრო-სატრიკოტაჟო მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი.

## III. სამკერვალო მრეწველობა.

1) ტფილისის სამკერვალო ფაბრიკა № 1,
2) ტფილისის საბრეშუმო ფაბრიკა № 2,
3) „ „ „ № 6,

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) ტფილისის საბრეშუმო ფაბრიკა № 7,
5) ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა № 4,
6) ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა № 5,
7) ტფილისის გამომჭრელი ფაბრიკა,
8) ტფილისის თავსახურავების ფაბრიკა,
9) ტფილისის სამკერვალო სახელოსნო ინდივიდუალური კერვისა,
10) სამკერვალო მრეწველობის ცენტრალური საწყობის მშენებლობა ტფილისში,
11) სამკერვალო მრეწველობის მომარაგებისა და გასაღების კონტორა („მკერავგასაღება"),
12) ტფილისის სამკერვალო მრეწველობის ტექნიკუმი,
13) სამკერვალო მრეწველობის მუშათა ფაკულტეტები ტფილისსა და ქუთაისში,
14) საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები ტფილისში, ქუთაისში და ბათუმში.

### IV. ტყავ-ფეხსაცმელის მრეწველობა.

1) ტფილისის ტყავის ქარხნები № 1 და 2,
2) ტფილისის საფეხსაცმლო ფაბრიკები № 1 და № 2,
3) ტფილისის საჯაგრო ფაბრიკა,
4) ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის მომარაგება-გასაღების კონტორა („ტყავფეხსაცმელმომარაგებაგასაღება").

### V.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სოციალისტური შრომის ოსტატთა ორწლიანი კურსები.

2. საქალაქო საბჭოების, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებისა და ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამართველოს უშუალოდ ქვემდებარე, მსუბუქი მრეწველობის წამოწყებათა დაგეგმვა, რეგულირება და საერთო ხელმძღვანელობა ჩამოერთვას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და დაეკისროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

3. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემიდან გადაეცეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში შემდეგი წამოწყებები და დაწესებულებები:

1) საქართველოს სსრ თევზის მრეწველობის ტრესტი („საქთევზტრესტი"), ამ ტრესტში შემავალი ყველა წამოწყებით და
2) სამეცნიერო-თევზსამეურნეო სადგური ქ. ბათუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქალაქო საბჭოების, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებისა და ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უშუალოდ ქვემდებარე, კვების მრეწველობის წამოწყებათა (საკონდიტრო, უალკოჰოლო წყლების, ლუდის, ღვინო-არაყის, საწისქვილე სახამებელსაბადავო, ხილგადამმუშავებელი, სამაცივრო, ზეთსახდელი, კარაქსადღვებო, საძეხვო, სათამბაქო და სხვა წამოწყებათა) დაგეგმვა, რეგულირება და საერთო ხელმძღვანელობა ჩამოერთვას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და დაეკისროს საქართველოს სსრ კვების სახალხო კომისარიატს.

5. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემიდან გადაეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში სატყეო მრეწველობის შემდეგი წამოწყებები:

1) საჩილაოს სატყეო-სამრეწველო კომბინატი,
2) მარელისის საავეჯო ფაბრიკა,
3) ტფილისის საავეჯო ფაბრიკა.

6. სატყეო მრეწველობის წამოწყებათა, კერძოდ—ხეტყე-შეშის დამზადებისა და ტყის დაგეგმვის ხაზით დაგეგმვა-რეგულირება და საერთო ხელმძღვანელობა ჩამოერთვას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და დაეკისროს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

6. ის წამოწყებები და სამეურნეო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის უშუალო გამგებლობაში იყო, გადაეცეს საქართველოს სსრ სათანადო საკავშირო სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატების გამგებლობაში აქტივით და პასივით 1937 წლის იანვრის 1-ის არსებული ბალანსისამებრ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი ვ. კვირიკაძე.

1937 წ. იანვრის 17. № 69.
ტფილისი.

---

## 23. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ წამოწყებათა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა შედგენილობის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის უშუალო გამგებლობაში მყოფ წამოწყებათა და დაწესებულებათა შემდეგი სია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) ქიმიური მრეწველობის კომბინატი;

2) ლითოგრაფიული ქვის წარმოება სოფ. ალგეთში;

3) ბარიტის გადამამუშავებელი წამოწყებანი ქ. ქუთაისში—„საქბარიტი";

4) გუმბრინის გადამამუშავებელი წამოწყებანი, ქუთაისის რაიონის სოფ. გუმბრში—„საქგუმბრინი";

5) ანდეზიტის გადამამუშავებელი წამოწყებანი ყაზბეგის რაიონის სოფ. ორშაში—„საქანდეზიტი";

6) დიატომიტის გადამამუშავებელი წამოწყებანი ახალციხის რაიონის სოფ. ხისათიბში—„საქდიატომიტი";

7) მარმარილოს ქარხანა ტფილისში და მარმარილოს დამუშავება სოფ. შროშაში, მოლითში, სადახლოში, ლოპოტში და სხვ.—„საქმარმარილო";

8) სახურავი ფიქალის დამამუშავებელი წამოწყებანი ყვარლის რაიონის სოფ. ილწობაში—„საქფიქალი";

9) ალებასტრის დამამუშავებელი წამოწყებანი ზუგდიდის რაიონის სოფ. ხუდონში;

10) გრანიტის დამამუშავებელი წამოწყებანი ტყიბულის რაიონის სოფ. კურსებში;

11) ქვასაჭრელი ფაბრიკა ტფილისში და აქატის დამუშავება ახალციხის რაიონში;

12) თალკის ქარხნის მშენებლობა სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში;

13) აგურის ქარხანა ღრმა-ღელეში (ქ. ტფილისი);

14) „ „ ცხაკაიას რაიონის სოფ. ნოსირში;

15) „ „ ჯულელის რაიონის სოფ. ტევრში;

16) კირის ქარხანა ტყიბულის რაიონის სოფ. მოწამეთში;

17) „ ხაშურის რაიონის დაბა სურამში;

18) ცარცის ქარხანა ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშში;

19) ბიტუმის ქარხანა მახარაძის რაიონის სოფ. ნატანებში;

20) ცეცხლგამძლე აგურის ქარხანა „შრომა" ჯულელის რაიონში;

21) ტფილისის ბეტონიტის ქარხანა;

22) თეძამის ტუფის წარმოება კასპის რაიონის სოფ. თეძამში;

23) ეკლარის ქვის წარმოება ქუთაისის რაიონის სოფ. ეკლარში;

24) კერამიკის მილების ქარხნის მშენებლობა აჭარაში (ქობულეთის რაიონი);

25) 26 კომუნარის სახელობის ტფილისის ქარხანა;

26) ორჯონიკიძის სახელობის ტფილისის ქარხანა;

27) კალინინის სახელობის ტფილისის ქარხანა;

28) ლითონის კონსტრუქციების ტფილისის ქარხანა;

29) ტფილისის სპილენძ-საგლინავი ქარხანა;

30) კამოს სახელობის ტფილისის ქარხანა;

31) სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტფილისის საწარმოო-სარემონტო ქარხანა;

32) ბათომის თუთიის ქარხანა;
33) წონის ხელსაწყოთა ტფილისის სარემონტო ქარხანა—„საქწონრემონტი";
34) ტფილისის სამუსიკო ფაბრიკა;
35) ტფილისის სასკოლო-საკანცელარიო ნივთების ფაბრიკა;
36) ტფილისის საგალანტერიო ფაბრიკა;
37) ტფილისის ცელულოიდის ფაბრიკა;
38) ტფილისის საშტემპელო-საგრავერო ფაბრიკა;
39) ბავშვთა სათამაშოების ტფილისის ფაბრიკა;
40) სამუსიკო ფაბრიკის მშენებლობა ქ. ტფილისში;
41) სარეგენერაციო ქარხნის მშენებლობა ქ. ტფილისში;
42) სამრეწველო მშენებლობის სახელმწიფო ტრესტი „საქქარხმშენი";
43) სამრეწველო მშენებლობის სახელმწიფო ტრესტი „საქსახპროექტი";
44) სათანადო სადარგო სამმართველოებთან არსებული, მომარაგებისა და გასაღების სამეურნეო-ანგარიშიანი კონტორები;
45) ტექნიკური ლიტერატურის გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა".

2. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქვემდებარე სასწავლებელთა შემდეგი სია:

## I. ტ ე ქ ნ ი კ უ მ ე ბ ი.

1) ტფილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმი;
2) „ პოლიგრაფიული „
3) ქუთაისის ინდუსტრიალური „
4) ბათომის „ „
5) სოხუმის „ „
6) ჭიათურის „ „

## II. მ უ შ ა თ ა ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ე ბ ი.

1) ტფილისის ინდუსტრიალური მუშათა ფაკულტეტი;
2) ქუთაისის „ „ „
3) ჭიათურის საშთო „ „
4) მარელისის მუშათა ფაკულტეტი.

## III. ს ა ფ ა ბ რ ი კ ო-ს ა ქ ა რ ხ ნ ო ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ი.

1) 26 კომუნარის სახელობის ქარხანასთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი;

2) ორჯონიკიძის სახელობის ქარხანასთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი.

3. დაეკისროს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—საქალაქო საბჭოების, სარაიონო აღმასრულებელი კომიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებისა და ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ქვემდებარე, საშენი მასალისა და ლითონის დამმუშავებელი, საობო, ქიმიური და საგალანტერიო მრეწველობის წამოწყებათა დაგეგმვა, რეგულირება და საერთო ხელმძღვანელობა.

**4.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გადასცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს გამგებლობად სასოფლო-სამეურნეო მანქანების სარემონტო სახელოსნო, რათა ამ წამოწყების ბაზაზე მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტფილისის საწარმოო-სარემონტო ქარხანა.

**5.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—გადასცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს გამგებლობად კამოს სახელობის პოლიგრაფიული გაწყობილობის ქარხანა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. იანვრის 17. № 70.
ტფილისი.

---

## მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა
## სოფლის მეურნეობა

### 24. დადგენილება ს.კ.ს და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

**სუბტროპიკული კულტურების განვითარების 1937-40 წლების გეგმისა და ამ კულტურების მოხავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

**1.** იმის მიხედვით, რომ ჩაის პლანტაციები 1940 წელს მიღწევინებულ უნდა იქნას 50 ათას ჰექტარამდე და რომ 1937 წლის ბოლოს ამ პლანტაციების რაოდენობა 42 ათასი ჰექტარი იქნება, დამტკიცებულ იქნას 1938-40 წლებში ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა 8.000 ჰექტარის რაოდენობით საკოლმეურნეო სექტორში; აქედან: 1938 წელს—3.000 ჰექტარი, 1939 წელს—2.200 ჰექტარი და 1940 წელს—2.800 ჰექტარი.

**2.** დამტკიცებულ იქნას ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა 1938-40 წლებისათვის რაიონობით:

32) ბათომის თუთიის ქარხანა;
33) წონის ხელსაწყოთა ტფილისის სარემონტო ქარხანა—„საქწონრემონტი“;
34) ტფილისის სამუსიკო ფაბრიკა;
35) ტფილისის სასკოლო-საკანცელარიო ნივთების ფაბრიკა;
36) ტფილისის საგალანტერიო ფაბრიკა;
37) ტფილისის ცელულოიდის ფაბრიკა;
38) ტფილისის საშტემპელო-საგრავერო ფაბრიკა;
39) ბავშვთა სათამაშოების ტფილისის ფაბრიკა;
40) სამუსიკო ფაბრიკის მშენებლობა ქ. ტფილისში;
41) სარეგენერაციო ქარხნის მშენებლობა ქ. ტფილისში;
42) სამრეწველო მშენებლობის სახელმწიფო ტრესტი „საქქარხმშენი“;
43) სამრეწველო მშენებლობის სახელმწიფო ტრესტი „საქსახპროექტი“;
44) სათანადო სადარგო სამმართველოებთან არსებული, მომარაგებისა და გასაღების სამეურნეო-ანგარიშიანი კონტორები;
45) ტექნიკური ლიტერატურის გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“.

2. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქვემდებარე სასწავლებელთა შემდეგი სია:

### I. ტექნიკუმები.

1) ტფილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმი;
2) „ პოლიგრაფიული „
3) ქუთაისის ინდუსტრიალური „
4) ბათომის „ „
5) სოხუმის „ „
6) ჭიათურის „ „

### II. მუშათა ფაკულტეტები.

1) ტფილისის ინდუსტრიალური მუშათა ფაკულტეტი;
2) ქუთაისის „ „ „
3) ჭიათურის სამთო „ „
4) მარელისის მუშათა ფაკულტეტი.

### III. საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები.

1) 26 კომუნარის სახელობის ქარხანასთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი;

2) ორჯონიკიძის სახელობის ქარხანასთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი.

3. დაეკისროს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—საქალაქო საბჭოების, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტე-

ბის, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებისა და ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ქვემდებარე, საშენი მასალისა და ლითონის დამმუშავებელი, სათბობი, ქიმიური და საგალანტერიო მრეწველობის წამოწყებათა დაგეგმვა, რეგულირება და საერთო ხელმძღვანელობა.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გადასცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს გამგებლობად სასოფლო-სამეურნეო მანქანების სარემონტო სახელოსნო, რათა ამ წამოწყების ბაზაზე მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტფილისის საწარმოო-სარემონტო ქარხანა.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—გადასცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს გამგებლობად კამოს სახელობის პოლიგრაფიული გაწყობილობის ქარხანა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. იანვრის 17. № 70.
ტფილისი.

---

## მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა
## სოფლის მეურნეობა

### 24. დადგენილება ს.კ.ს და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

**სუბტროპიკული კულტურების განვითარების 1937-40 წლების გეგმისა და ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. იმის მიხედვით, რომ ჩაის პლანტაციები 1940 წელს მიღწევინებულ უნდა იქნას 50 ათას ჰექტარამდე და რომ 1937 წლის ბოლოს ამ პლანტაციების რაოდენობა 42 ათასი ჰექტარი იქნება, დამტკიცებულ იქნას 1938-40 წლებში ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა 8.000 ჰექტარის რაოდენობით საკოლმეურნეო სექტორში; აქედან: 1938 წელს—3.000 ჰექტარი, 1939 წელს—2.200 ჰექტარი და 1940 წელს—2.800 ჰექტარი.

2. დამტკიცებულ იქნას ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა 1938-40 წლებისათვის რაიონობით:

[2 მუხლისათვის (გვ. 35)]

| რაიონები | 1938 წელს | აქედან | | 1939 წელს | აქედან | | 1940 წელს | აქედან | | სულ სამ წლისათვის |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I ნახევ. წელს | II ნახევ. წელს | | I ნახევ. წელს | II ნახევ. წელს | | I ნახევ. წელს | II ნახევ. წელს | |
| 1. ბათომის | 120 | 80 | 40 | 70 | 40 | 30 | 60 | 30 | 30 | 250 |
| 2. ქობულეთის | 250 | 200 | 50 | 100 | 50 | 50 | 100 | 50 | 50 | 450 |
| **სულ აჭარაში** | **370** | **280** | **90** | **170** | **90** | **80** | **160** | **80** | **80** | **700** |
| 3. სოხუმის | 140 | 100 | 40 | 80 | 40 | 40 | 80 | 40 | 40 | 300 |
| 4. ოჩემჩირის | 300 | 150 | 150 | 350 | 150 | 200 | 350 | 200 | 150 | 1000 |
| 5. გ ა ლ ი ს | 170 | 120 | 50 | 150 | 50 | 100 | 180 | 100 | 80 | 500 |
| 6. გუდაუთის | 190 | 150 | 40 | 80 | 40 | 40 | 80 | 40 | 40 | 350 |
| **სულ აფხაზეთში** | **800** | **520** | **280** | **660** | **280** | **380** | **690** | **380** | **310** | **2150** |
| 7. ქუთაისის | 315 | 300 | 15 | 35 | 15 | 20 | 50 | 20 | 30 | 400 |
| 8. ტყიბულის | 85 | — | 85 | 155 | 85 | 70 | 110 | 60 | 50 | 350 |
| 9. წულუკიძის | 125 | 50 | 75 | 150 | 75 | 75 | 125 | 75 | 50 | 400 |
| 10. ა ბ ა შ ი ს | — | — | — | — | — | — | 400 | 200 | 200 | 400 |
| 11. გეგეჭკორის | 200 | 150 | 50 | 100 | 50 | 50 | 100 | 50 | 50 | 400 |
| 12. ცხაკაიას | 65 | 50 | 15 | 50 | 15 | 35 | 85 | 35 | 50 | 200 |
| 13. ხ ო ბ ი ს | 60 | 40 | 20 | 50 | 20 | 30 | 140 | 40 | 100 | 250 |
| 14. ჩხოროწყუს | 225 | 150 | 75 | 205 | 75 | 130 | 270 | 130 | 140 | 700 |
| 15. ზუგდიდის | 210 | 150 | 60 | 150 | 60 | 90 | 240 | 90 | 150 | 600 |
| 16. წალენჯიხის | 225 | 150 | 75 | 150 | 75 | 75 | 125 | 75 | 50 | 500 |
| 17. ლანჩხუთის | 75 | 30 | 45 | 195 | 45 | 50 | 80 | 50 | 30 | 250 |
| 18. ჩოხატაურის | 45 | 30 | 15 | 30 | 15 | 15 | 25 | 15 | 10 | 100 |
| 19. მახარაძის | 200 | 100 | 100 | 200 | 100 | 100 | 200 | 100 | 100 | 600 |
| **მთლად რესპუბლიკაში** | **3000** | **2000** | **1000** | | **1000** | **1200** | **2800** | **1400** | **1400** | **8000** |

ბიბლიოთეკა

3. ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების 1938-40 წლების გეგმის შესაბამისად, დამტკიცებულ იქნას ნიადაგის მომზადების გეგმა 8.000 ჰექტარის რაოდენობით; 1937 წლის მე-II ნახევარწელს—2.000 ჰექტარი, 1938 წელს—2.000 ჰექტარი, 1939 წელს—2.600 ჰექტარი და 1940 წლის 1-ელ ნახევარ წელს—1.400 ჰექტარი, შემდეგი განაწილებით რაიონებზე: [იხ. გვ. 41].

4. ჩაის პლანტაციების გაშენებისა და ნიადაგის მომზადებისათვის დასახული გეგმის წლობით და რაიონობით ასრულების უზრუნველსაყოფად, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, პარტიის საოლქო კომიტეტებს და აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) გამოყონ ადგილობრივ ბრიგადები ჩაისათვის ვარგისი ფართობების გამოსარკვევად, შემდეგი შედგენილობით: სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგე ან სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორი, უფროსი აგრონომი ჩაის საქმეში, ნიადაგის მცოდნე, მელიორატორი და მიწათმომწყობი;

ბ) ბრიგადების მიერ ჩაის გასაშენებლად დასახული ახალი ნაკვეთები აღინიშნება რუკაზე, დამტკიცდება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და წარედგინება დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს;

გ) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა დაამტკიცოს არა უგვიანეს მაისის 1-ისა ახალი ნაკვეთები ჩაის გასაშენებლად და ამ ნაკვეთების ასათვისებლად ჩასატარებელ წინასწარ ღონისძიებათა გეგმა;

დ) ჩაის პლანტაციების გასაშენებლად ახალი ნაკვეთების არჩევის დროს უზრუნველყოფილ იქნას ჩაისათვის ისეთი მიწების მიჩენა, რაც მოითხოვს უფრო ნაკლებ კაპიტალურ ხარჯებს, და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება დასახულ იქნას ისეთი ნაკვეთები, რაც კაპიტალურ მელიორაციას საჭიროებს.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ჩაის გასაშენებლად ახალი ნაკვეთების არჩევის მთელი მუშაობა უნდა დაამთავროს 1937 წლის ივნისის 1-თვის.

5. 1940 წლისათვის ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის ერთ ჰექტარზე 2.500—3000 კილოგრამამდე მისაღწევინებლად:

ა) დამტკიცებულ იქნას აზოტურ სასუქთა შეტანის შემდეგი ნორმები (20%-იან აზოტურ სასუქებზე გადატანით): სრულსაკოვან პლანტაციებში—1.000 კილოგრამი 1 ჰექტარზე, არასრულსაკოვან პლანტაციებში—500 კილოგრამი 1 ჰექტარზე და ერთწლიან პლანტაციებში 250 კილოგრამი 1 ჰექტარზე;

ბ) ამისდა მიხედვით, 1937 წელს ჩაისათვის საჭირო მინერალურ სასუქთა მოთხოვნილება განისაზღვროს: 20%-იანი აზოტური სასუქისა—28.442 ტონა;

№ 3

აქედან „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობებისათვის—4.840 ტონა; 4%-იანი ფოსფორიული სასუქისა—18.372 ტონა; აქედან „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობებისათვის—6.342 ტონა; და 40%-იანი კალიუმური სასუქისა—48 ტონა „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობებისათვის;

გ) საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორის ჩაის პლანტაციების ორგანიული სასუქით გაპატივებისათვის დამზადებულ იქნას 1937 წელს 150 ათასი ტონა ტორფ-კომპოსტი, აქედან: ზუგდიდის რაიონში—30.000 ტონა, ქობულეთის რაიონში—50.000 ტონა, ხოლო დანარჩენი ნაწილი—მახარაძის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, გალის, ქუთაისის, ჩხოროწყუს, ხობის, გეგეჭკორის, წალენჯიხისა და ოჩემჩირის რაიონებში.

წინადადება მიეცეს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტს და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ზუგდიდის რაიონულ კომიტეტს და ზუგდიდის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—უზრუნველყონ ტორფ-კომპოსტის დამზადება ქობულეთის რაიონში 50.000 ტონის რაოდენობით და ზუგდიდის რაიონში—30.000 ტონის რაოდენობით და სადამზადებლო მუშაობას შეუდგნენ 1937 წლის იანვრის 1-დან;

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა დაამთავროს 1937 წლის იანვრის 1-თვის ზემოაღნიშნულ რაიონებში ტორფის ბუდობების გამოკვლევა, შეადგინოს ტორფ-კომპოსტის დამზადების რაიონობითი გეგმა და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

დ) 1937 წელს ჩაის პლანტაციებისათვის ნაკელ-სასუქის დამზადებისა და შეტანის გეგმა განისაზღვროს 40.000 ტონის რაოდენობით და შემდეგი განაწილებით რაიონებზე:

| | | |
|---|---|---|
| 1) აჭარის ასსრ . . . . . . . . | 4.600 | ტონა |
| 2) აფხაზეთის ასსრ . . . . . . . | 6.000 | „ |
| 3) ქუთაისის რაიონი . . . . . . | 700 | „ |
| 4) ტყიბულის „ . . . . . . . . | 1.000 | „ |
| 5) სამტრედიის „ . . . . . . . | 600 | „ |
| 6) წულუკიძის „ . . . . . . . | 1.000 | „ |
| 7) გეგეჭკორის „ . . . . . . . | 2.400 | „ |
| 8) ცხაკაიას „ . . . . . . . | 1.600 | „ |
| 9) ხობის „ . . . . . . . | 800 | „ |
| 10) ჩხოროწყუს „ . . . . . . . | 1.900 | „ |
| 11) ზუგდიდის „ . . . . . . . | 4.000 | „ |
| 12) წალენჯიხის „ . . . . . . . | 2.200 | „ |
| 13) ლანჩხუთის „ . . . . . . . | 3.800 | „ |
| 14) ჩოხატაურის „ . . . . . . . | 2.200 | „ |
| 15) მახარაძის „ . . . . . . . | 7.200 | „ |

[3 მუხლისათვის (გვ. 39)].

| რაიონები | 1937 წლის II ნახევ. წელს | 1938 წელს | აქედან I ნახევ. წელს | აქედან II ნახევ. წელს | 1939 წელს | აქედან I ნახევ. წელს | აქედან II ნახევ. წელს | 1940 წელს | აქედან I ნახევ. წელს | სულ 1937, 1938, 1939 და 1940 წლ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათომის | 80 | 80 | 40 | 40 | 60 | 30 | 30 | 30 | 30 | 250 |
| 2. ქობულეთის | 200 | 100 | 50 | 50 | 100 | 50 | 50 | 50 | 50 | 450 |
| სულ აჭარაში | **280** | **180** | **90** | **90** | **160** | 80 | **80** | **80** | **80** | **700** |
| 3. სოხუმის | 100 | 80 | 40 | 40 | 80 | 40 | 40 | 40 | 40 | 300 |
| 4. ოჩემჩირის | 150 | 300 | 150 | 150 | 400 | 200 | 200 | 150 | 150 | 1000 |
| 5. გ ა ლ ი ს | 120 | 100 | 50 | 50 | 200 | 100 | 100 | 80 | 80 | 500 |
| 6. გუდაუთის | 150 | 80 | 40 | 40 | 80 | 40 | 40 | 40 | 40 | 350 |
| სულ აფხაზეთში | 520 | 560 | 280 | 280 | 760 | 380 | 380 | 310 | 310 | 2150 |
| 7. ქუთაისის | 300 | 30 | 15 | 15 | 40 | 20 | 20 | 30 | 30 | 400 |
| 8. ტყიბულის | — | 170 | 85 | 85 | 130 | 70 | 60 | 50 | 50 | 350 |
| 9. წულუკიძის | 50 | 150 | 75 | 75 | 150 | 75 | 75 | 50 | 50 | 400 |
| 10. აბაშის | — | — | — | — | 200 | — | 200 | 200 | 200 | 400 |
| 11. გეგეჭკორის | 150 | 100 | 50 | 50 | 100 | 50 | 50 | 50 | 50 | 400 |
| 12. ცხაკაიას | 50 | 30 | 15 | 15 | 70 | 35 | 35 | 50 | 50 | 200 |
| 13. ხ ო ბ ი ს | 40 | 40 | 20 | 20 | 70 | 30 | 40 | 100 | 100 | 250 |
| 14. ჩხოროწყუს | 150 | 150 | 75 | 175 | 260 | 130 | 130 | 140 | 140 | 700 |
| 15. ზუგდიდის | 150 | 120 | 60 | 60 | 180 | 90 | 90 | 150 | 150 | 600 |
| 16. წალენჯიხის | 150 | 150 | 75 | 75 | 150 | 75 | 75 | 50 | 50 | 500 |
| 17. ლანჩხუთის | 30 | 90 | 45 | 45 | 100 | 50 | 50 | 30 | 30 | 250 |
| 18. ჩოხატაურის | 30 | 30 | 15 | 15 | 30 | 15 | 15 | 10 | 10 | 100 |
| 19. მახარაძის | 100 | 200 | 100 | 100 | 200 | 100 | 100 | 100 | 100 | 600 |
| მთლად რესპუბლიკაში | **2000** | **2000** | **1000** | **1000** | **2600** | **1200** | **1400** | **1400** | **1400** | **8000** |

6. საკოლმეურნეო სექტორში 1937 წელს ჩაის სანერგეების გაშენების გეგმა დამტკიცებულ იქნას 80 ჰექტარის ფართობზე, შემდეგი განაწილებით რაიონებზე:

| | | |
|---|---|---|
| 1) ბათომის რაიონი . . . . . | 2,0 | ჰექტარი |
| 2) ქობულეთის „ . . . . . . . | 4,0 | „ |
| ს უ ლ აჭარაში | 6.0 | ჰექტარი |
| 3) სოხუმის რაიონი . . . . . | 1,0 | „ |
| 4) ოჩემჩირის „ . . . . . . | 6,0 | „ |
| 5) გალის „ . . . . . . . | 8,0 | „ |
| 6) გუდაუთის „ . . . . . . . | 1,0 | „ |
| ს უ ლ აფხაზეთში . . . | 16,0 | ჰექტარი |
| 7) ქუთაისის რაიონი . . . | 1,5 | „ |
| 8) ტყიბულის „ . . . . . | 3,0 | „ |
| 9) სამტრედიის . . . . . . | 1,0 | „ |
| 10) წულუკიძის . . . . . . . | 1,5 | „ |
| 11) გეგეჭკორის . . . . . | 8,0 | „ |
| 12) ცხაკაიას . . . . . . . . | 4,0 | „ |
| 13) ხობის . . . . . . . . | 1,0 | „ |
| 14) ჩხოროწყუს . . . . . . | 4,0 | „ |
| 15) ზუგდიდის . . . . . . . | 8,0 | „ |
| 16) წალენჯიხის . . . . . . | 4,0 | „ |
| 17) ლანჩხუთის . . . . . . | 8,0 | „ |
| 18) ჩოხატაურის . . . . . . | 5,0 | „ |
| 19) მახარაძის . . . . . . . | 9,0 | „ |
| ს უ ლ რესპუბლიკაში . . . | 80,0 | ჰექტარი |

7. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, „საქართველოს ჩაის" სრულიად საკავშირო ტრესტს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს აჭარის ასსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ჩაატარონ 1937 წ. თებერვლის 1-მდე ჩაის პლანტაციების გამოკვლევა, დასახონ თვითეული ნაკვეთისათვის პლანტაციების რემონტის, არსებული სადრენაჟო ქსელის რემონტისა და ამ ქსელის და ქარისაგან დამცველ ნარგავთა გაშენების გეგმა.

8. ციტრუსოვან ნარგავთა მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და 1937 წელს ციტრუსოვან ხილთა მოსავლის აღების გეგმის შესრულებისათვის 500 მილიონის რაოდენობით—განისაზღვროს ნაკელ-სასუქის შეტანის შემდეგი

ნორმები ხეების წლოვანობის ჯგუფთა მიხედვით: 22 კილოგრამი 1 ხეზე, როდესაც იგი წლოვანობით 5 წლამდეა; 40 კილოგრამი 1 ხეზე, როდესაც იგი წლოვანობით 5 წლიდან 10 წლამდეა; 60 კილოგრამი 1 ხეზე, როდესაც იგი წლოვანობით 10 წლიდან 15 წლამდეა.

ამისდა შესაბამისად:

ა) დამტკიცებულ იქნას 1937 წლის გეგმა ნაყოფის დამზადებისა პლანტაციებში შესატანად 122.058 ტონის რაოდენობით; აქედან: არსებული ციტრუსოვანი ნარგავებისათვის—81.738 ტონა, 1937 წელს გასაშენებელი პლანტაციებისათვის—18.000 ტონა და სანერგეებისათვის—22.320 ტონა;

ბ) დამტკიცებულ იქნას ნაკელის დამზადების გეგმის შემდეგი განაწილება რაიონებზე:

| რაიონები | სანერგეებისათვის | 1937 წელს გასაშენებელი პლანტაციებისათვის | არსებული პლანტაციების | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. აჭარის ასსრ | 5.600 | 4.230 | 46.944,5 | 56774,5 |
| 2. აფხაზეთის ასსრ | 7.360 | 5.310 | 15 719,9 | 28389,9 |
| 3. სამტრედიის | — | — | 72,6 | 72,6 |
| 4. წულუკიძის | — | — | 46,2 | 46,2 |
| 5. აბაშის | — | 180 | 192,7 | 372·7 |
| 6. გეგეჭკორის | — | 198 | 123,2 | 321,2 |
| 7. ცხაკაიას | 1.640 | 702 | 839,6 | 3.181,6 |
| 8. ხობის | — | 105 | 462,2 | 867,2 |
| 9. ჩხოროწყუს | — | 369 | 299,8 | 668,8 |
| 10. ზუგდიდის | 2.400 | 1.773 | 2.088,4 | 6 261,4 |
| 11. წალენჯიხის | 180 | 180 | 182,6 | 542,6 |
| 12. ფოთის | 960 | 981 | 2.766,2 | 4.707,2 |
| 13. ლანჩხუთის | 1.760 | 1.152 | 3.716,1 | 6.628,1 |
| 14. ჩოხატაურის | 60 | 126 | 153,5 | 339,5 |
| 15. მახარაძის | 2.360 | 2.394 | 8.130,5 | 12.884,5 |
| სულ რესპუბლიკაში | 22 320 | 18.000 | 81.738 | 122.058 |

წინადადება მიეცეს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს, აჭარის ასსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს— უზრუნველყონ აღნიშნული რაოდენობის ნაკელის დამზადება 1937 წ. თებერვლის 1-თვის.

9. ვინაიდან მოსავლიანობის გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ციტრუსოვან ნარგავთა მორწყვას გვალვიან პერიოდში, წინადადება მიეცეს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს, აჭარის ასსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომი-

ტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—შემოიღონ პრაქტიკაში როგორც სავალდებულო ღონისძიება, ციტრუსოვან ნარგავთა ხელით მორწყვა გვალვიან პერიოდში. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ორი დეკადის ვადაზე უნდა განსაზღვროს მორწყვისათვის საჭირო ინვენტარის რაოდენობა. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა (ამხ. ყურულაშვილმა) ერთი თვის ვადაზე უნდა წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ღონისძიებანი ციტრუსოვან ნარგავთა სარწყავი ინვენტარის დამზადებისათვის საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შეკვეთით.

**10.** წინადადება მიეცეს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს, აჭარის ასსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ჩაატარონ:

ა) ყველა ციტრუსოვანი ნარგავის შესხურება ფარიანების, ბუჟღენდისა (ჩერვეცი) და ტკიპების წინააღმდეგ 1937 წლის მარტის 1-მდე;

ბ) ხის ტანისა და ტოტების ფისის დენისაგან დაზიანებული ადგილების გაწმენდა 1937 წლის აპრილის 1-მდე;

გ) ყველა ციტრუსოვანი ხის პროფილაქტიკური წამლობა 1937 წლის ივნის-ივლისში;

დ) დაავადებული ციტრუსოვანი ხეების ამორჩევით შესხურება ფარიანების, ბუჟღენდისა და ტკიპების ახალ მოდგმათა წარმოშვების პერიოდში 1937 წლის მარტის 15-დან 1937 წ. ოქტომბრის 1-მდე;

ე) ანტრაკნოზით და ქეცით დაავადებული ცალკეული ხეების შესხურება 1937 წლის აგვისტოს 20-დან 1937 წლის სექტემბრის 20-მდე;

ვ) ციტრუსოვან ნარგავთა ხის ძირის ირგვლივ ნიადაგის დამუშავება და გაფართოება, მინერალური და ორგანიული სასუქის შერევით 1937 წლის აპრილის 1-მდე.

**11.** დაევალოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს, აჭარის ასსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ 1937 წლის იანვრის პირველ ნახევარში ციტრუსოვანი კულტურების გაშენებაზე მოსაქმე საბჭოთა მეურნეობების, კოლექტიური მეურნეობების, კოლმეურნეობისა და ერთპიროვნული მეურნეობების მომუშავეთა სარაიონო თათბირები—ამ თათბირებზე იმ ღონისძიებათა დამუშავებით, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან და რაც უზრუნველყოფს 1937 წელს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი ხილის მოსავლის აღებას არა ნაკლებ, ვიდრე ნახევარი მილიარდი ცალის რაოდენობით.

პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა ერთი დეკადის ვადაზე უნდა წარუდგინონ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამ თათბირთა მოწვევის საკალენდრო გეგმა.

**12.** კოლექტიურ მეურნეობებში დაფნის ახალი პლანტაციების გაშენების რაიონობითი გეგმა 1937-40 წლებისათვის განისაზღვროს 2.410 ჰექტარის რაოდენობით; აქედან: 1937 წელს—500 ჰექტარი; ამ რიცხვიდან: გაზაფხულზე—150 ჰექტარი და შემოდგომაზე—350 ჰექტარი; 1938 წელს—680 ჰექტარი; ამ რიცხვიდან: გაზაფხულზე—150 ჰექტარი და შემოდგომაზე—530 ჰექტარი; 1939 წელს—630 ჰექტარი; ამ რიცხვიდან: გაზაფხულზე—150 ჰექტარი და შემოდგომაზე—480 ჰექტარი; 1940 წელს—600 ჰექტარი; ამ რიცხვიდან: გაზაფხულზე—150 ჰექტარი და შემოდგომაზე—450 ჰექტარი.

**13.** დამტკიცებულ იქნას დაფნის პლანტაციების გაშენების გეგმა შემდეგი განაწილებით რაიონებზე: [იხ. გვ. 46].

**14.** ახლად გასაშენებელი დაფნის პლანტაციებისა და სანერგეებისათვის მაღალხარისხოვანი სათესლე მასალის მისაღებად და აგრეთვე არსებული პლანტაციების რემონტისათვის წინადადება მიეცეს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აფხაზეთის და აჭარის საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს საქართველოს კომუნისტური პარტიის რაიონულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—ჩაატარონ არსებული სათესლეების პასპორტიზაცია და ახალი სადედე ხეების აპრობაცია და გამოყოფა სათესლეებისათვის დასატოვებლად ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს თესლის დამზადების გეგმას წელთა ბიხედვით.

**15.** 1937 წელს გერანის გაშენების გეგმა განისაზღვროს 930 ჰექტარის რაოდენობით 1936 წლის გეგმასთან—830 ჰექტარი შედარებით;—აქედან: აფხაზეთში—750 ჰექტარი; ამ რიცხვიდან საბჭოთა მეურნეობებში—380 ჰექტარი, კოლექტიურ მეურნეობებში—370 ჰექტარი; აჭარის საბჭოთა მეურნეობებში—80 ჰექტარი და ცხაკაიას რაიონში—100 ჰექტარი; ამ რიცხვიდან საბჭოთა მეურნეობებში—50 ჰექტარი და კოლექტიურ მეურნეობებში—50 ჰექტარი.

გერანის პლანტაციების გაშენების აღნიშნული გეგმის უზრუნველსაყოფად წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს გერანის კალმის დამზადება 28 მილიონი ცალის რაოდენობით.

**16.** ევკალიპტის ხეების გაშენების გეგმა 1937 წლისათვის დამტკიცებულ იქნას 3 მილიონი ცალის რაოდენობით და შემდეგი განაწილებით რაიონებზე:

| | ევკალიპტის ხეების გაშენების გეგმა (ცალობით) |
|---|---|
| 1) აჭარის ასსრ . . . . . . . . . . | 500 ათასი |
| 2) აფხაზეთის ასსრ . . . . . . . . . | 300 „ |
| 3) ქუთაისის რაიონი . . . . . . . . . | 30 „ |
| 4) სამტრედიის „ . . . . . . . . . | 100 „ |
| 5) აბაშის „ . . . . . . . . . . | 150 „ |
| 6) გეგეჭკორის „ . . . . . . . . . | 70 „ |

[13 მუხლისათვის (გვ. 45)].

| რაიონები | 1937 წ. | | | 1938 წ. | | | 1939 წ. | | | 1940 წ. | | | სულ 4 წე-ლიწადში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გაზაფხუ-ლი | შემო-დგომა | სულ | გაზაფხუ-ლი | შემო-დგომა | სულ | გაზაფხუ-ლი | შემო-დგომა | სულ | გაზაფხუ-ლი | შემო-დგომა | სულ | |
| 1. ჯუღელის | 3 | 7 | 10 | 3 | 17 | 20 | 3 | 17 | 20 | 3 | 17 | 20 | 70 |
| 2. ბაღდადის | — | 5 | 5 | 2 | 23 | 25 | 2 | 18 | 20 | 2 | 18 | 20 | 70 |
| 3. ქუთაისის | 10 | 30 | 40 | 10 | 40 | 50 | 10 | 35 | 45 | 10 | 30 | 40 | 175 |
| 4. ტყიბულის | — | 6 | 6 | 2 | 23 | 25 | 2 | 18 | 20 | 2 | 18 | 20 | 71 |
| 5. ვანის | 15 | 25 | 40 | 15 | 45 | 60 | 15 | 35 | 50 | 15 | 25 | 40 | 190 |
| 6. სამტრედიის | 12 | 25 | 37 | 10 | 30 | 40 | 10 | 30 | 40 | 10 | 30 | 40 | 157 |
| 7. წულუკიძის | 5 | 10 | 15 | 5 | 10 | 15 | 5 | 10 | 15 | 5 | 5 | 10 | 55 |
| 8. აბაშის | 10 | 25 | 35 | 10 | 30 | 40 | 10 | 30 | 40 | 10 | 30 | 40 | 155 |
| 9. გეგეჭკორის | 10 | 25 | 35 | 10 | 40 | 50 | 10 | 30 | 40 | 10 | 30 | 40 | 165 |
| 10. ცხაკაიას | 10 | 25 | 35 | 10 | 35 | 45 | 10 | 30 | 40 | 10 | 30 | 40 | 160 |
| 11. ხობის | 20 | 30 | 50 | 20 | 50 | 70 | 20 | 40 | 60 | 20 | 30 | 50 | 230 |
| 12. ჩხოროწყუს | 8 | 15 | 23 | 6 | 14 | 20 | 6 | 14 | 20 | 6 | 14 | 20 | 83 |
| 13. ზუგდიდის | 10 | 25 | 35 | 10 | 40 | 50 | 10 | 40 | 50 | 10 | 40 | 50 | 185 |
| 14. წალენჯიხის | 2 | 7 | 9 | 2 | 8 | 10 | 2 | 13 | 15 | 2 | 13 | 15 | 49 |
| 15. ფოთის | — | 15 | 15 | 2 | 23 | 25 | 2 | 23 | 25 | 2 | 23 | 25 | 90 |
| 16. ლანჩხუთის | 10 | 20 | 30 | 10 | 20 | 30 | 10 | 25 | 35 | 10 | 25 | 35 | 130 |
| 17. ჩოხატაურის | 5 | 15 | 20 | 5 | 15 | 20 | 5 | 15 | 20 | 5 | 15 | 20 | 80 |
| 18. მახარაძის | 3 | 10 | 13 | 3 | 12 | 15 | 5 | 12 | 15 | 5 | 12 | 15 | 77 |
| 19. აჭარის ასსრ | 7 | 10 | 17 | 5 | 15 | 20 | 3 | 15 | 20 | 3 | 15 | 20 | 58 |
| 20. აფხაზეთის ასსრ | 10 | 20 | 30 | 0 | 40 | 50 | 10 | 30 | 40 | 10 | 30 | 40 | 160 |
| სულ | 150 | 350 | 500 | 150 | 530 | 680 | 150 | 480 | 630 | 150 | 450 | 600 | 2410 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| 7) ცხაკაიას რაიონი | 150 | ათასი |
| 8) ხობის " | 300 | " |
| 9) ჩხოროწყუს " | 100 | " |
| 10) ზუგდიდის " | 300 | " |
| 11) წალენჯიხის " | 100 | " |
| 12) ფოთის " | 400 | " |
| 13) ლანჩხუთის " | 150 | " |
| 14) ჩოხატაურის " | 50 | " |
| 15) მახარაძის " | 300 | " |
| ს უ ლ | 3000 | ათასი. |

**17.** დამტკიცებულ იქნას ევკალიპტების ნერგის მოსაყვანად სათბურებში თესლის თესვის გეგმა შემდეგ რაიონებში (კილოგრამობით):

| | | |
|---|---|---|
| ა) აჭარის ასსრ | 50 | კილოგრამი |
| 2) აფხაზეთის ასსრ | 30 | " |
| 3) ქუთაისის რაიონი | 3 | " |
| 4) სამტრედიის | 10 | " |
| 5) აბაშის | 15 | " |
| 6) გეგეჭკორის | 7 | " |
| 7) ცხაკაიას | 15 | " |
| 8) ხობის | 30 | " |
| 9) ჩხოროწყუს | 10 | " |
| 10) ზუგდიდის | 30 | " |
| 11) წალენჯიხის | 10 | " |
| 12) ფოთის | 40 | " |
| 13) ჩოხატაურის | 5 | " |
| 14) მახარაძის | 30 | " |
| ს უ ლ | 300 | კილოგრამი |

**18.** დასავლეთ საქართველოს კოლექტიურ მეურნეობებში სუბტროპიკული ხეხილის ნარგავთა ფართობების შემდგომი გაფართოების მიზნით დამტკიცებულ იქნას სანერგეების ახალი გაშენების გეგმა 1937 წლისთვის შემდეგ ფართობზე: ხურმისა—50 ჰექტარი, ბროწეულისა—23 ჰექტარი, ლეღვისა—10 ჰექტარი და მუშმულისა—13 ჰექტარი.

**19.** დამტკიცებულ იქნას ხურმის, ბროწეულის, ლეღვისა და მუშმულის სანერგეების გაშენების გეგმა 1937 წლისათვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| რაიონები | ხურმა (რასკაპერება 1937 წ. შემოდგომაზე ჰექტარობით) | მუშმალა (სანერგე ჰექტარობით ერთწლიანის მოყვანა) | ბროწეული (სანერგე ჰექტარობით ორწლიანის მოყვანა) | ლეღვი (სანერგე ჰექტარობით ერთწლიანის მოყვანა) |
|---|---|---|---|---|
| 1. აჭარის ასსრ | 4 | 2 | 2 | 1 |
| 2. აფხაზეთის ასსრ | 4 | 3 | 3 | 1 |
| 3. ქიათურის | 1 | — | 0,5 | 0,2 |
| 4. ჯულელის | 2 | — | 1 | 0,2 |
| 5. ჩხარის | 1 | — | 0,5 | 0,3 |
| 6. ბაღდადის | 2 | — | 0,5 | 0,3 |
| 7. ქუთაისის | 4 | — | 2 | 1 |
| 8. ტყიბულის | 2 | — | 1 | 0,3 |
| 9. ვანის | 2 | — | 1 | 0,3 |
| 10. სამტრედიის | 3 | 0,2 | 1,5 | 0,5 |
| 11. წულუკიძის | 3 | — | 1,5 | 0,5 |
| 12. აბაშის | 3 | 1 | 1 | 0,5 |
| 13. გეგეჭკორის | 1 | 0,3 | 0,5 | 0,3 |
| 14. ცხაკაიას | 3 | 1 | 1 | 0,5 |
| 15. ხობის | 2 | 1 | 1 | 0,4 |
| 16. ჩხოროწყუს | 1 | 0,2 | 0,5 | 0,3 |
| 17. ზუგდიდის | 2 | 1 | 1 | 0,5 |
| 18. წალენჯიხის | 1 | 0,3 | 0,5 | 0,3 |
| 19. ფოთის | 1 | 0,5 | 0,5 | 0,3 |
| 20. ლანჩხუთის | 3 | 1 | 1 | 0,5 |
| 21. ჩოხატაურის | 2 | 0,5 | 0,5 | 0,3 |
| 22. მახარაძის | 3 | 1 | 1 | 0,5 |
| ს უ ლ . | **50** | **13** | **23** | **10** |

**20**. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს სუბტროპიკული ხეხილის კულტურების კალმებისა და თესლის თავის დროზე დამზადება ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა სანერგეების გაშენებისათვის დასახული გეგმის შესასრულებლად.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტებს და სამიწათმოქმედო ორგანოებს—უზრუნველყონ სუბტროპიკული ხეხილის სანერგეების გაშენების გეგმების მიწვდევინება თვითეულ კოლექტიურ მეურნეობამდე, ფართობთა გამოყოფით და საჭირო სამზადებლო ღონისძიებათა ჩატარებით ამ ფართობის სანერგეებისათვის ასათვისებლად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ.პ. (ბ). ც.კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1936 წ. დეკემბრის 21. № 1799.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფინანსები

## 25. დადგენილება ს.კ.ს

**1936 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მე-2 მუხლი 1936 წ. აგვისტოს 11-ის თარიღის და 916-ა №-ის დადგენილებისა „1936 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. 21 №-ი, მუხ. 124) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„2. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდებიან ზემოსვანეთის რაიონისა, დუშეთის რაიონის ბარისახოს, ბაცალიგოს, არხოტის და შატილის სასოფლო საბჭოებისა, თიანეთის რაიონის სოფ. ბაჩალის და ხაშალისა და ყაზბეგის რაიონის სოფ.ართხმოს და ჯუთას კოლმეურნენი და მშრომელი ერთპიროვნული მეურნენი".

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1936 წ. იანვრის 1-დან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. იანვრის 27. № 96.
ტფილისი.

---

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმ. მმართველობა 1937 წ. № 5. პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი
ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1 ბეჭდ. ფურც.; 1 ბეჭდ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 1/II; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/III; ტირაჟი 2.000.
მთავლ. რწმ. № 16965 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკვ. № 226